საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების სამთავრობო კომისია

გეოინფორმაციული სისტემების (GIS) თემატური სამუშაო ჯგუფი

სხდომის ოქმი #3

თბილისის იუსტიციის სახლი
01 დეკემბერი, 2014 წელი

სხდომა დაიწყო: 11:00

სხდომა დასრულდა: 13:00

სხდომის თავმჯდომარე:

ვლადიმერ ჩხაიძე	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გეოინფორმაციული სისტემების (GIS) თემატური სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
გიორგი პეტრიაშვილი	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამთავრობო კომისიის სამდივნო

სხდომის მდივანი:

მარიკა აბულაძე	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სხდომას ესწრებოდნენ თემატური სამუშაო ჯგუფის წევრები:

ირაკლი ლეჟავა	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
გიორგი ტაბატაძე	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
დავით კაპანაძე	იუსტიციის სამინისტრო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
გიორგი სულავა	სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო
ლევან ჯაფარიძე	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
ზაზა გაგუა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
გიორგი გელაძე	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
ვიტალი მაჭავარიანი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
გიორგი ზედგინიძე	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტი
იოსებ ქინქლაძე	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ვახტანგ გლოველი	შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი
გიორგი ზედგინიძე	თავდაცვის სამინისტრო, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველო
თეონა ცოცხალაშვილი	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიწათსარგებლობის სამმართველო
თინა ახვლედიანი	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მიწათსარგებლობის სამმართველო
დემირი ეკალაძე	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“
მერაბ ლილუაშვილი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
ნინო კოხრეიძე	ენერგეტიკის სამინისტრო, ენერგეტიკული დეპარტამენტი
ნიკოლოზ ბერუჩაშვილი	ენერგეტიკის სამინისტრო, სააქციო საზოგადოება „ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
ვლადიმერ ჭანტურიძე	ენერგეტიკის სამინისტრო, სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
ალექსანდრე ბაქანიძე	ენერგეტიკის სამინისტრო, ენერგეტიკული დეპარტამენტი
სერგო წიქორიძე	ენერგეტიკის სამინისტრო, სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
ლალი მაძღარაშვილი	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
დავით ჭულუხაძე/ წარმომადგენელი ამირან ვარდოშვილი	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ადმინისტრაციული დეპარტამენტი

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:

ვახტანგ ჭედიშვილი	ქ. თბილისის მერია, სსიპ ქონების მართვის სააგენტო
მიხეილ სამხარაძე	ენერგეტიკის სამინისტრო, შპს „ენერგოტრანსი“

გიორგი ნადირაძე	ენერგეტიკის სამინისტრო, სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო“

სხდომის დღის წესრიგი:

1 სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების პირველი რიგის დარგობრივი პრიორიტეტები, სამინისტროს საქმიანობისას საჭირო სივრცითი მონაცემების კომპონენტის გათვალისწინებით.

2 NSDI-ს კონფერენცია/სემინარი

3 გეოინფორმაციული სისტემების მომხმარებლების და მწარმოებლების გამოცდილების შესაფასებელი კითხვარი

4 შემდგომი საქმიანობების დაგეგმვა

სხდომის ძირითადი შინაარსი:

სხდომა გახსნა სამთავრობო კომისიის სამდივნოს ხელმძღვანელმა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სივრცითი ინფორმაციის სამსახურის უფროსმა გიორგი პეტრიაშვილმა. მან ისაუბრა სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების პრიორიტეტების განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ და ჯგუფის წევრებს წარუდგინა, იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ნუსხა, რის მაგალითზეც უნდა მოემზადებინათ სამინისტროების წარმომადგენლებს სივრცითი მონაცემების ნაკრებების ჩამონათვალი.

შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ოთხი სამინისტროს წარმომადგენლებს აქვთ შედგენილი სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების ჩამონათვალი. ხოლო დანარჩენმა წარმომადგენლებმა, ისაუბრეს ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ. მათ განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს სამინისტროს სისტემაში შემავალ უწყებებს შორის კომუნიკაციის და კოორდინაციის პრობლემები.

ჯგუფის წევრებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ მიმდინარე პროცესებში უფრო აქტიურად ჩართონ სხვა თემატური სამუშაო ჯგუფების წარმომადგენლები, საკონტაქტო პირები და სამთავრობო კომისიის სამდივნოს წევრები. აღნიშნა, რომ ვინაიდან კანონით არის განსაზღვრული თითოეული უწყების საქმიანობის მიმართულებები სასურველია, GIS ჯგუფის თითოეულმა წევრმა, იგივე სამინისტროს წარმომადგენელ საკანონმდებლო ჯგუფის წევრთან ერთად სამინისტროს სტრუქტურისა და საქმიანობის მიმართულებების გათვალისწინებით ჩამოაყალიბოს შესაბამისი სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების ნუსხა, რის შემდეგაც სავარაუდოდ მიიღებენ სასურველ შედეგს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბ-ნ ვახტანგ გლოველმა ჯგუფის წევრებს წარუდგინა მათ სამინისტროში დანერგილი პრაქტიკა ეფექტური შიდა კომუნიკაციის განსახორციელებლად. მან აღნიშნა, რომ სამინისტროში გარკვეული პერიოდულობით ხდება საკონტაქტო პირის და თემატური ჯგუფის წევრების შეხვედრები, სადაც განიხილება დასახული ამოცანები და აქტივობები, შედეგად კი იგეგმება შემდგომი განსახორციელებელი საქმიანობები. ვახტანგ გლოველმა წარმოადგინა მათ სამინისტროში მომზადებული სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების შემუშავებული ჩამონათვალი, რომლის დაზუსტების შემდეგაც მოხდება სიის გადაგზავნა თემატური ჯგუფის ხელმძღვანელისთვის.

გიორგი პეტრიაშვილმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ **ჯგუფის სტაბილურობის მიზნით უმჯობესია უმოკლეს ვადაში განხორციელდეს კანდიდატურებთან დაკავშირებული ცვლილებები, რადგან ისევ თავიდან არ იყოს აუცილებელი უკვე განვლილი თემების წინ წამოწევა, ასევე თემატური ჯგუფის წევრის ნაცვლად სხვა პირის დასწრება სხდომაზე, არ არის ნაყოფიერი, რადგან გამომდინარე იქედან, რომ ჯგუფს უკვე გარკვეული მოქმედებები განხორციელებული აქვს ახალ კანდიდატს უჭირს პროცესებში ჩართვა და შესაბამისად სრულყოფილი ინფორმაციაც ვერ მიაქვს ადრესატამდე.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თემატურ ჯგუფს, განსაზღვრული ამოცანებიდან და საქმიანობებიდან გამომდინარე მოუწევს დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება. თემატური ჯგუფები ანგარიშვალდებულნი არიან სამდივნოსა და სამთავრობო კომისიის წინაშე, ამიტომ ვერ მოხდება ამოცანებისა და საქმიანობების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელება. ჯგუფის მიმართ დასმული ამოცანების დროულად შესრულების, ასევე, სამთავრობო კომისიის მიერ, გეოინფორმაციული სისტემების (GIS) თემატური ჯგუფისთვის, დასახული სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე, საჭიროა დეტალურად გაანალიზდეს თემატური ჯგუფის მიერ განსახორციელებელი ამოცანები, რათა შემდგომ შეხვედრებზე განისაზღვროს კონკრეტული აქტივობების შესასრულებლად საჭირო ვადები.

GIS თემატური ჯგუფის ხელმძღვანელმა, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის გეოინფორმაციული სისტემების მთავარმა არქიტექტორმა ვლადიმერ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ თბილისის ტერიტორიაზე სივრცითი მონაცემების მნიშვნელოვან მწარმოებელს და განმკარგავს წარმოადგენს თბილისის მერია და ხაზი გაუსვა NSDI-სთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებში მერიის ჩართულობის მნიშვნელობას.

ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენელმა ვახტანგ ჭედიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან ისინი მოგვიანებით ჩაერთნენ მიმდინარე პროცესებში, სჭირდებათ გარკვეული დრო, რომ უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა. დააფიქსირა, რომ მათი მხრიდან თემატურ სამუშაო ჯგუფებში მოკლე ვადაში იქნება წარმოდგენილი შესაბამისი სპეციალისტების კანდიდატურები.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხზე ისაუბრა გიორგი პეტრიაშვილმა. მან მიმოიხილა NSDI-ს კონფერენცია/სემინარი, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის 11-12 დეკემბერს, სადაც თითოეული სამინისტრო, NSDI-ს თემატიკასთან ასოცირებით (მეტამონაცემები, სივრცითი მონაცემები და ელ. სერვისები, ქსელური მომსახურება, მონაცემებსა და ელ. სერვისებზე წვდომისა და განფასების პოლიტიკა, მონიტორინგისა და ანგარიშგების ღონისძიებები), წარმოადგენს საკუთარი საქმიანობის შესახებ პრეზენტაციას. თემატური ჯგუფების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ დაახლოებით ორი დღის ვადაში მიეწოდოთ ორგანიზატორებს, ინფორმაცია მოხსენებების თემატიკის და ხანგრძლივობის შესახებ.

შემდეგ საკითხად წარდგენილ იქნა, საგანმანათლებლო თემატური სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კითხვარი, რომელიც მიზნად ისახავს სამინისტროებში დასაქმებული ტექნიკური ჯგუფების რესურსის - გეოინფორმაციული სისტემების მომხმარებლების და მწარმოებლების გამოცდილების შეფასებას და გაანალიზებას. GIS თემატური ჯგუფის წევრებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ შეავსონ აღნიშნული კითხვარი და თხოვონ თავიანთ კოლეგებს მისი შევსება. ასევე, თუ ხელთ ეწიფებათ მაქსიმალურად გაავრცელონ ის სამინისტროს

სისტემაში.

ჯგუფის წევრების მიერ გამოითქვა მოსაზრებები, რომლებიც შეეხებოდა საბაზისო სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების დარგობრივი პირველი რიგის პრიორიტეტების განსაზღვრას, NSDI-ს კონფერენცია/სემინარის თემატიკას, მოხსენებების შინაარსს, ხანგრძლივობას, ვადებს. თემატური სამუშაო ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ შემდეგი შეხვედრა გაიმართოს დაახლოებით 15 იანვრისთვის.

თემატური სამუშაო ჯგუფის სხდომის გადაწყვეტილება:

1 ჯგუფის თითოეულ წევრს მიეცა რეკომენდაცია, რომ არაუგვიანეს 10 იანვრისა თემატური ჯგუფის ხელმძღვანელს - ვლადიმერ ჩხაიძეს, ელექტრონული ფოსტის (vchkhaidze@napr.gov.ge) საშუალებით მიაწოდოს სივრცითი მონაცემების თემატური ნაკრებების ჩამონათვალი პირველი რიგის დარგობრივი პრიორიტეტების გათვალისწინებით. ასევე, მათი საქმიანობისათვის აუცილებელი სივრცითი მონაცემების ის თემატური ნაკრებები, რომლებსაც კურირებენ სხვა სამინისტროები ან ისეთი მონაცემების ნუსხა, რაც დღევანდელი მდგომარეობით არ არსებობს, მაგრამ არსებობის შემთხვევაში ძალიან გაამარტივებდა სამუშაო პროცესს.

2 თითოეულ წევრს მიეცა რეკომენდაცია, რომ შეავსონ და გაავრცელონ სამინისტროს სისტემაში დასაქმებული რესურსის - გეოინფორმაციული სისტემების მომხმარებლების და მწარმოებლების გამოცდილების შესაფასებელი კითხვარი.

3 თითოეულ წევრს მიეცა რეკომენდაცია, დეტალურად გააანალიზოს თემატური ჯგუფის მიერ შესასრულებელი ამოცანები, რათა მომდევნო შეხვედრაზე განისაზღვროს ვადები კონკრეტული აქტივობების შესასრულებლად.

4 თემატური სამუშაო ჯგუფის თოთოეულ წევრს მიეცა რეკომენდაცია მეტი ინფორმირებულობისათვის გააანალიზოს INSPIRE-ს ვებ-გვერდი http://inspire.ec.europa.eu/

5 თემატური სამუშაო ჯგუფის მომდევნო შეხვედრა ჩაინიშნა დაახლოებით იანვრის შუა რიცხვებში.

სხდომის თავმჯდომარე: / ვლადიმერ ჩხაიძე /

/ გიორგი პეტრიაშვილი /

სხდომის მდივანი: / მარიკა აბულაძე /